ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №27/გ

ქ. თბილისი 24 ოქტომბერი 2014 წ.

ერთის მხრივ სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“ (შემდგომში – შემსყიდველი), დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ლაშა ჯინჯიხაძის სახით და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი ნინო ჩიხლაძე (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან სატრენინგო მომსახურებების (**CPV 80500000**) სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
1.2 ხელშეკრულების ობიექტია: თანდართული დღის წესრიგის შესაბამისად 1 ტრენინგის ჩატარება ქ. თბილისში შემსყიდველის სტრუქტურული ერთეულის თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) და თბილისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) თანამშრომლებისათვის.
1.3 დაფინანსების წყარო: გაეროს ქალთა ორგანიზაციის გრანტი – გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საქართველოში.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 360 (სამასსამოცი ლარი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.
4.2 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, კერძოდ უზრუნველყოს 1 სატრენინგო სემინარის ჩატარება 2014 წლის 25 ოქტომბერს.
4.3 მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება ქ. თბილისი ქინძმარაულის I შესახვევი №1.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს

მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.
13.3 გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“	**ფიზიკური პირი ნინო ჩიხლაძე** პირადი №01008019463
ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ა	ქ. თბილისი, წყნეთის ქ. №4, ბ. №42
სახელმწიფო ხაზინა: კოდი: TRESGE22; ა/ა № GE24NB0330100200165022 ს/კ № 205169592	სს „თიბისი ბანკი“ კოდი: TBCBGE22; ა/ა № GE09TB1100000311201157
ლაშა ჯინჯიხაძე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	**ნინო ჩიხლაძე** ფ.პ.

დანართი 1

ტრენინგი ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით

დღის წესრიგი

25 ოქტომბერი

11:00 – 11:15	ტრენინგის გახსნა - მონაწილეთა გაცნობა, ტრენინგის მიზნებისა და ამოცანების წარდგენა
11:15 – 12:15	ოჯახში ძალადობის პრობლემის სამართლებრივი ასპექტები, ოჯახში ძალადობის ცნება და ფორმები, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით არსებული კანონმდებლობის მიმოხილვა
12:15 – 13:00	ოჯახში ძალადობის სუბიექტები, რისკ-ჯგუფები, დინამიკა და განმაპირობებელი ფაქტორები
13:00 – 14:00	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სტატუსი, მოძალადისა და მსხვერპლის იდენტიფიკაცია
14:00 – 14:30	შესვენება
14:30 – 14:45	ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები
14:45 – 15:30	პოლიციის როლი ოჯახში ძალადობის საქმეებთან დაკავშირებით; პოლიციის მიერ პრობლემის გადაჭრის გზები
15:30 – 16:30	ოჯახში ძალადობის ფსიქოლოგიური ასპექტები
16:30 – 17:15	case study
17:15 – 17:30	ტრენინგის შეჯამება

შემსყიდველი:

ლაშა ჯინჯიხაძე
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

მიმწოდებელი:

ნინო ჩიხლაძე
ფ.პ.